ტვინების ბრძოლა
ფინალი | შემოდგომა 2024
U5 (III, IV, V კლასები)

1. 5 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
ერთი პერსონაჟი იხსენებს, რომ ერთხელ **უჩვეულოდ სწრაფ კურდღელს მისდევდა**. საქმე ისაა რომ კურდღელს **არა ოთხი**, არამედ **რვა იქსი** ჰქონდა. ჯორკო **ავეჯის** ნაირსახეობაა, რომელსაც **სამი იქსი** აქვს. დაასახელეთ იქსი **ოთხასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ფეხი
კომენტარი: მასალაზე გამოსახულია სკამების მწარმოებელი კომპანია "ჯორკოს" ლოგო. ჯორკო სკამის ნაირსახეობაა, რომელსაც სამი ფეხი აქვს. კურდღელი ძალიან სწრაფად დარბოდა, რადგან ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი ფეხი ჰქონდა.
წყარო: რუდოლფ რასპე - ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი
https://www.facebook.com/p/%E1%83%AF%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%9D-100064556269514/

2. 6 ქულიანი შეკითხვა
იტალიაში ერთი ცნობილი **დღესასწაულის** დროს ყველანაირი **ტკბილეული იქსის ფორმისაა**. ერთ **უცხოენოვან** ფორუმზე აღნიშნავდნენ, რომ **ქართული** ყველაზე **რომანტიკული** ენაა, რადგან ქართულ ანბანში ერთ-ერთი **თანხმოვანი იქსის ფორმას წააგავს**. დაწერეთ იქსი **ერთი** სიტყვით.

პასუხი: გული
კომენტარი: საუბარი იყო ვალენტინობაზე, რომლის დროსაც იტალიაში ყველა ტკბილეული გულის ფორმისაა. პოსტის ავტორმა ასო "ღ" მოხაზულობით გულის სიმბოლოს ფორმას შეადარა.
http://www.pravda.rv.ua/hobbi/day%20of%20saint%20of%20valentina.php

3. 7 ქულიანი შეკითხვა
ამაზონის ტყის მეტსახელია **დედამიწის ფილები**, რადგან **ჟანგბადის** დიდ წილს სწორედ ამაზონიდან ვიღებთ. პროფესიონალ **მოცურავეებს** უფრო **დიდი ფილები** აქვთ. აღადგინეთ სიტყვა, რომელშიც ჩვენ **ორი ასო გამოვტოვეთ**.

პასუხი: ფილტვები
კომენტარი: მოცურავეებს დიდი ხნით უწევთ სუნთქვის შეკავება, რაც ფილტვების მოცულობას ზრდის დროთა განმავლობაში. "დედამიწის ფილტვებად" წოდებული ამაზონი ჩვენი ფილტვებისათვის აუცილებელ პროდუქტს, ჟანგბადს გამოიმუშავებს. საუბარი იყო არა ფილებზე, არამედ ფილტვებზე.
წყარო: https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2173511515001979
https://www.bbc.com/future/article/20130226-amazon-lungs-of-the-planet

4. 5 ქულიანი შეკითხვა
წიგნში "**ყაჩაღის ასული რონია**", რონიას **ძილის წინ** ძალიან უყვარს **დედის იქსის მოსმენა**. ცნობილ **ქართულ** მოთხრობაში, დედის იქსი, პერსონაჟს **მეხსიერების აღდგენაში** ეხმარება. დაასახელეთ იქსი **შვიდასოიანი** სიტყვით.

პასუხი: სიმღერა
ჩათვლა: იავნანა
კომენტარი: რონიას ძალიან უყვარს ძილის წინ დედის სიმღერის მოსმენა. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში "იავნანამ რა ჰქმნა", ქეთოს მას შემდეგ გაახსენდება ბავშვობის მოგონებები, რაც დედა იავნანას უმღერებს.
წყარო: ასტრიდ ლინდგრენი "ყაჩაღის ასული რონია"
იაკობ გოგებაშვილი "იავნანამ რა ჰქმნა"

5. 6 ქულიანი შეკითხვა
აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში იმდენად **თბილა**, რომ იქ **არასდროს მოსულა იქსი**. ერთ ლექსში იქსი შედარებულია **თეთრ დათვს**, რომელმაც მხარზე უხმოდ დაგვადო თათი. დაასახელეთ იქსი **ხუთასოიანი** სიტყვით.

პასუხი: თოვლი
კომენტარი: აფრიკა ყველაზე ცხელი კონტინენტია და მის ბევრ ქვეყანაში ნალექები იშვიათია. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, თოვლი არასდროს მოსულა. ვახუშტი კოტეტიშვილი ლექსში თოვლს ადარებს თეთრ დათვს.
წყარო:
https://mapsontheweb.zoom-maps.com/post/688742406560120832/countries-where-it-has-never-snowed
https://poetry.ge/poets/vakhushti-kotetishvili/poems/1385.tovli.htm

6. 7 ქულიანი შეკითხვა
ვაგრძელებთ! ჩინური იქსი ჩვენთვის კარგად ნაცნობი იქსზე **რამდენიმე კვირით გვიანაა**. ჩინური იქსის მთავარი ფერებიც **წითელი** და **მწვანეა** და იქაც იყენებენ **ფეთქებად პიროტექნიკას**. დაასახელეთ იქსი **ორი სიტყვით**.

პასუხი: ახალი წელი
კომენტარი: ჩინურ ახალ წელს იანვარი-თებერვლის პერიოდში აღნიშნავენ. წითელი და მწვანე ფერები, ისევე, როგორც ფეიერვერკები, ახალი წლის ტრადიციის ნაწილია.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Chinese_New_Year

7. 5 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
მასალაზე გამოსახული **ვარცხნილობის** სახელში ფიგურირებს ერთი **ხილი**. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ეს ხილი **პიცას არ უხდება**. **არ** გთხოვთ ამ ხილის დაწერას. დაასახელეთ ცნობილი **პერსონაჟი**, რომელიც ამ **ხილში ცხოვრობს**.

პასუხი: სპანჯბობი
კომენტარი: დარიგებულ მასალაზე გამოსახული თავი ნამდვილად წააგავს ანანასს. უამრავი ადამიანი მიიჩნევს, რომ პიცაზე ანანასის დადება დანაშაულია. პერსონაჟი, რომელიც ანანასში ცხოვრობს, არის სპანჯბობი.
წყარო: ბმული ბმული

8. 6 ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]
ერთი გადმოცემის თანახმად, **წვეულებაზე** იმპერატორმა **იუ სუნმა** წარმოთქვა სიტყვები: "დაე **ღამე დღედ გადაიქცეს**", რის შედეგადაც **პირველად გამოიყენეს იქსი**. იქსით შეცვლილი სიტყვა **დღეს უკვე მოისმინეთ**. დაწერეთ იქსი **უცხოური** სიტყვის გამოყენებით.

პასუხი: ფეიერვერკი
ჩათვლა: პიროტექნიკა
კომენტარი: იმპერატორის სახელით შეგეძლოთ მიმხვდარიყავით, რომ საუბარი იყო ჩინელ მმართველზე. გადმოცემის თანახმად, ამ სადღესასწაულო წვეულებაზე ჩინელებმა პირველად გამოიყენეს ფეიერვერკი, რომელზეც საუბარი იყო მეექვსე შეკითხვაში.
http://www.ba-bah.ru/kitaj-rodina-fejerverkov

9. 7 ქულიანი შეკითხვა
ერთმა **ექსტრემალურმა** წამყვანმა აფრიკის ერთ **მშრალ** ქვეყანაში მოგზაურობისას **ჩანთის ჯიბე იქსად გამოიყენა**. იმისთვის, რომ პარიზში **ოლიმპიელი** მოცურავეებისთვის საასპარეზო არენად **მდინარე** გამოეყენებინათ, მოუწიათ **ბევრი იქსის დამონტაჟება**. დაწერეთ იქსი ორი სიტყვით.

პასუხი: წყლის ფილტრი
ჩათვლა: წყლის გამწმენდი, აზრობრივად სწორი პასუხები წყლის ხსენებით

კომენტარი: მდინარის გადაცურვისას წამყვანმა ბეარ გრილსმა ჩანთის ჯიბე წყლის ფილტრად გამოიყენა, რათა შემდგომ იქ დაგროვილი წყალი უსაფრთხოდ დაელია. მიმდინარე წლის ოლიმპიადაზე მოცურავეებს ასპარეზობა მდინარე სენაში უწევდათ, რის გამოც პარიზის მერიამ მდინარის გასაწმენდად უამრავი წყლის ფილტრი დააყენა.
https://en.wikipedia.org/wiki/Man_vs._Wild (Season 2, Episode 8)
https://www.telegraph.co.uk/world-news/2024/04/12/seine-paris-cleaning-filter-project-austerlitz-olympics/

10. 5 ქულიანი შეკითხვა
დათვებს მოკლე იქსი აქვთ, რის გამოც **მომთვინიერებლებს უჭირთ** იმის განსაზღვრა, თუ **როგორ ხასიათზეა** დათვი. **ქართული ანდაზის** თანახმად, **მელამ** თავისი **იქსი მოწმედ** მოიყვანა. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: კუდი
კომენტარი: როგორც წესი კუდის მოძრაობის მიხედვით შეიძლება იმის გაგება, თუ როგორ ხასიათზეა ცხოველი. დათვს მოკლე კუდი აქვს, რაც ართულებს მისი ხასიათის განსაზღვრას.
წყარო: https://dnr.maryland.gov/wildlife/pages/plants_wildlife/black-bear.aspx
https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC6680777/
https://kids.ge/saying?id=2347

11. 6 ქულიანი შეკითხვა
ბანგლადეშში ხშირია **წყალდიდობები**. თუ წყალდიდობის გამო მოსწავლე **სკოლაში ვერ მიდის**, სკოლა **თავად მიდის მასთან**. საქმე ისაა, რომ ეს სკოლა **იქსზეა**. დაასახელეთ იქსი **ოთხასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ნავი
ჩათვლა: გემი, ტივი
კომენტარი: წყალდიდობის შემდეგ წყლის დონე იწევს და გადაადგილების ერთადერთ საშუალება წყლის ტრანსპორტი ხდება. ბანგლადეშში არსებობს მოძრავი სკოლის სისტემა, ამ დროს სკოლა ნავზე დგას და ბავშვს სახლთან აკითხავს.
წყარო:
https://www.npr.org/sections/goatsandsoda/2018/09/12/646378073/floating-schools-make-sure-kids-get-to-class-when-the-water-rises

12. 7 ქულიანი შეკითხვა
ერთ **ანიმაციურ ფილმში** ლომი იწვევს **დიდ კრებას**, რათა ყველას მოუყვეს **იქსისგან** მიღებული **გამაფრთხილებელი წერილის** შესახებ. **ცხოველების** უმეტესობა **დაუჯერებს** იქსის გაფრთხილებას, თუმცა **უნიკორნები** ჩათვლიან, რომ წერილი სინამდვილეში **ხაფანგია**. დაწერეთ იქსით შეცვლილი **მოკლე სახელი**.

პასუხი: ნოე
კომენტარი: ანიმაციურ ფილმში გადათამაშებულია ბიბლიური ეპიზოდი, როდესაც ნოემ შეკრიბა ცხოველები და კიდობანში აიყვანა წარღვნის დროს მათი გადარჩენის მიზნით. უნიკორნებმა ნოეს წერილი ხაფანგად ჩათვალეს, რის გამოც კიდობანში არ ავიდნენ და გადაშენდნენ.

წყარო: https://www.imdb.com/title/tt0053120/

13. 5 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
თქვენ წინაშეა **გიგანტური ნაყინის მანქანა**. **ბავშვებს** ამ მანქანიდან ნაყინის **ასაღებად** სჭირდებოდათ **იქსი**. წიგნში "**ყაჩაღის ასული რონია**", **მოხუცი** პერსონაჟი ჩივის, რომ სასახლეში **ზედმეტად ბევრი იქსია** და ეს მისი **ფეხებისთვის კარგი არ არის**. დაწერეთ იქსი **ოთხასოიანი** სიტყვით.

პასუხი: კიბე
კომენტარი: მოხუც სკალე-პერს გიგანტური სასახლის კიბეებზე სიარული აღარ შეუძლია. შკოდას მარკის გიგანტური ნაყინის მანქანა ზედმეტად მაღალია იმისთვის, რომ ბავშვი ფანჯარას მიწვდეს, ამიტომ ხშირად კიბე ხდებოდა საჭირო.
წყარო: ასტრიდ ლინდგრენი "ყაჩაღის ასული რონია"
ბმული

14. 6 ქულიანი შეკითხვა
2025 წელს **დედამიწისა** და ამ **პლანეტის ურთიერთგანლაგების** გამო თითქმის შეუძლებელი გახდება **რგოლების** დანახვა. **ინგლისურენოვანი ხუმრობის** თანახმად, ამ პლანეტის საყვარელი ფილმი არის "**ბეჭდების** მბრძანებელი". დაასახელეთ ეს პლანეტა.

პასუხი: სატურნი
კომენტარი: სატურნი ცნობილია თავისი რგოლებით. ინგლისურიდან სიტყვა ring შეიძლება ითარგმნოს როგორც "რგოლი" ან როგორც "ბეჭედი".

15. 7 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

C_2O_2AlCa

]
ერთ საიტზე ნათქვამია, რომ **იქსის საიდუმლო** პირველ რიგში **სარეკლამო ხრიკია**, რაც მეტ **ლაპარაკს** და **მითქმა-მოთქმას** იწვევს **ბრენდის გარშემო**. მასალაზე თქვენ დაგირიგდათ **იქსის სახუმარო ვერსია**. დაწერეთ იქსი **სამი** სიტყვით.

პასუხი: კოკა-კოლას რეცეპტი
ჩათვლა: კოკა-კოლას ფორმულა
კომენტარი: საიტზე წერია, რომ ლეგენდები კოკა-კოლას გასაიდუმლოებული ფორმულის შესახებ პირველ რიგში მარკეტინგს ემსახურება, რითაც ბრენდი უფრო განხილვადი და საინტერესო ხდება. მოცემული ქიმიური ფორმულა კოკა-კოლას რეცეპტის სახუმარო ვერსიაა, რომლისგანაც სიტყვა "კოკა-კოლა" იწყობა.
https://www.snopes.com/fact-check/coca-cola-fomula/